საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი ისლანდიაში

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დელეგაცია 2022 წლის 29 აპრილი - 3 მაისს, კომიტეტის თავმჯდომარის, ნიკოლოზ სამხარაძის ხელმძღვანელობით პირველი ოფიციალური ვიზიტით ისლანდიაში იმყოფებოდა. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დავით ზილფიმიანი; კომიტეტის წევრი, გივი მიქანაძე და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის აპარატის უფროსი, ნიკოლოზ ხატიაშვილი.
ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა ისლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრთან, თორდის გილფადოტირთან და ისლანდიის პარლამენტის თავმჯდომარესთან, ბირკირ არმანსონთან.
მინისტრთან შეხვედრაზე, მხარეებმა განიხილეს შავი ზღვის რეგიონში არსებული ვითარება, უკრაინაში რუსეთის მიერ წარმოებული ომი, შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხები და ორმხრივი ურთიერთობები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ნატო-ს მომავალ სამიტზე და საქართველოსთვის მის მნიშვნელობაზე. ნიკოლოზ სამხარაძემ მინისტრს მიაწოდა ამომწურავი ინფორმაცია რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებულ დესტრუქციულ ქმედებებზე და ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ მძიმე ვითარებაზე. საგარეო საქმეთა მინისტრმა დაადასტურა ისლანდიის მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და ხაზი გაუსვა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების მნიშვნელობას.
ისლანდიის პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრაზე, ნიკოლოზ სამხარაძემ ისაუბრა საქართველოს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, ქვეყნის შიდა პოლიტიკურ პროცესებზე, საპარლამენტო თანამშრომლობაზე, რეგიონში არსებულ გამოწვევებზე და საქართველოში განხორციელებულ რეფორმებზე. პარლამენტის თავმჯდომარემ დაადასტურა საქართველოს მხარდაჭერა და ხაზი გაუსვა ორი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების მნიშვნელობას, მათ შორის ისლანდიის საპარლამენტო დელეგაციის თბილისში ვიზიტის სურვილს.
ნიკოლოზ სამხარაძემ და დელეგაციის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ისლანდიაში საქართველოს საპატიო საკონსულოს ოფისის გახსნის ცერემონიაში.

ისლანდიაში ვიზიტის ფარგლებში, ნიკოლოზ სამხარაძემ გამართა შეხვედრები ისლანდიის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესთან, ბიარნი იონსონთან და კომიტეტის წევრებთან. ნიკოლოზ სამხარაძემ კოლეგასთან საუბრისას ხაზი გაუსვა ორი ქვეყნის ურთიერთობების გაღრმავებისა და საპარლამენტო კავშირების მნიშვნელობას. მხარეებმა განიხილეს რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული აგრესია და საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ვითარება, რომელიც წარმოადგენს უდიდეს გამოწვევას რეგიონული უსაფრთხოებისთვის. ისლანდიელმა კანონმდებლებმა დაადასტურეს მრავალპარტიული მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და ნატო-ში გაწევრიანების მიმართ. ამ კუთხით, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ივნისში დაგეგმილ ნატო-ს მადრიდის სამიტზე საქართველოსთვის ისლანდიის მიერ აქტიურ პოლიტიკურ მხარდაჭერაზე.

საქართველოს პარლამენტის დელეგაციასთან შეხვედრას საკუთარ ფეისბუქ გვერდზე გამოეხმაურა ისლანდიის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი, ტორგედურ კატრინ უნარსდოტირი: „ვიმედოვნებთ, რომ ევროკავშირი მიიღებს საქართველოს გაწევრიანების გადაწყვეტილებას. საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება წაახალისებს ყველა იმ დასავლურ სახელმწიფოს, რომელსაც სურს იბრძოლოს პუტინის აგრესიის წინააღმდეგ. ამავდროულად, ეს არის მკაფიო გზავნილი იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც ახლა რუსეთისთვის ძალიან სიმბოლურია. რაც უფრო მეტნი ვიქნებით ნატო-სა თუ ევროკავშირში, მით უფრო ძლიერები ვიქნებით ერთად. ისლანდიას, როგორც ნატო-ს დამფუძნებელ ქვეყანას შეუძლია აიღოს მკაფიო ვალდებულება და ხელი შეუწყოს საქართველოს ნატო-ში დაუყოვნებლივ გაწევრიანებას. გულწრფელად ვიმედოვნებთ, რომ ისლანდია თავის მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ნატო-ს ივნისის სამიტზე და საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით უპირობო მხარდაჭერას გამოხატავს. ბევრი რამ დგას სასწორზე.”

საგარეო კომიტეტის დელეგაციამ შეხვედრა გამართა აგრეთვე ისლანდიის პრომოციის სამსახურის ხელმძღვანელთან - პეტურ ოსკარსონთან. მხარეებმა განიხილეს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები ტურიზმის, კულტურის და ხალხთაშორისი კავშირების მიმართულებით. ამ კუთხით მხარეებმა აღნიშნეს, რომ არსებობს თანამშრომლობის გაძლიერების დიდი პოტენციალი და შეთანხმდნენ, რომ შესაბამისი სამსახურები დაიწყებენ ამ საკითხებზე მუშაობას. ნიკოლოზ სამხარაძემ ისლანდიურ მხარეს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოში არსებული ეკონომიკური ვითარებისა და საინვესტიციო გარემოს შესახებ. ასევე, საუბარი შეეხო საქართველოსა და ისლანდიას შორის სატრანზიტო საჰაერო მიმოსვლის დაწყების შესაძლებლობას.

საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში, ნიკოლოზ სამხარაძე სიტყვით გამოვიდა ისლანდიის უნივერსიტეტში და მსმენელებს გააცნო საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები, შავი ზღვის და კავკასიის რეგიონში არსებული გამოწვევები, ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე საქართველოს მიერ გატარებული რეფორმები და ევროკავშირში საქართველოს მიერ გაკეთებული განაცხადი და მასთან დაკავშირებული მოლოდინები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების მნიშვნელობაზე ევროპის უსაფრთხოების განსამტკიცებლად. ღონისძიებას ესწრებოდნენ ისლანდიაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები და იგი გაშუქდა ისლანდიის წამყვანი მედია საშუალებების მიერ.

ვიზიტის ბოლოს დელეგაციის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს და ისლანდიის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 30 წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებაში, რომელიც ისლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დელეგაციის ვიზიტს ისლანდიაში, ადგილობრივი მედია გამოეხმაურა და დელეგაციის ხელმძღვანელის, ნიკოლოზ სამხარაძის ინტერვიუ გაავრცელა. რეპორტაჟში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს ოფიციალური დელეგაცია ისლანდიაში იმყოფებოდა ორმხრივ ურთიერთობების გაძლიერების და საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების საკითხების განსახილველად.